ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №370735

ნომერი: AR182613

თარიღი : 24.09.2012

გაცემის თარიღი : 28.09.2012

გაცნობის თარიღი : 01.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ , (ნაკვეთი N18/256) ; ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ , (ნაკვეთი N18/256) ; ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი. ლუბლიანას ქ. მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარი ჩანტლაძე პ/ნ 01025019494
- დ/დ გიორგი ბრწყინვალის #9,ბ. #56

ორგანიზაცია:
- შპს კაი ყმა კოდი: 202061295

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 აპრილის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების #521 პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 24 სექტემბერს #AR182613 განცხადებით მომართა შპს ,,კაი ყმას" გენერალურმა დირექტორმა თამარ ჩანტლაძემ და მოითხოვა სამსახურის 2011

წლის 27 აპრილის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების #521 პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო ობიექტის ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილების გამო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 27 აპრილს საშუალო სკოლის აშენების მიზნით დადგინდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების #521 პირობები ქ. თბილისში, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივში, ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. #18/251 და 15/253) 1340 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე. ამავე ტერიტორიაზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის #01/380 ბრძანებით შეთანხმებულია საშუალო სკოლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/379–1), რომელიც ძალაშია 2012 წლის 21 ოქტომბრამდე.

დღეის მდგომარეობით განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მიერთება საპროექტო მიწის ნაკვეთებთან, რის შედეგადაც გაიზარდა ტერიტორიის ფართობი და წარმოადგენს 1990 კვ.მ.-ს (რეგისტრაციის №882011405692; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 08.08.2012 წ.; საკადასტრო კოდი: 01.13.01.018.298 ამონაწერის მომზადების თარიღი: 09.08.2011წ, (რეგისტრაციის №882012451855). ამასთან, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება იგივე ქალაქმშენებლობითი პარამეტრები, რაც სამსახურის მიერ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის დროს, რომლის მიხედვით უკვე შეთანხმებულია სამშენებლო დოკუმენტაცია და ასევე ნაწარმოებია მშენებლობა, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია #521 (27.04.2011წ.) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: საპროექტო მიწის ნაკვეთად დაფიქსირდეს 1990 კვ.მ. ფართობისა და 01.13.01.018.298 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი და გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882011405692; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 08.08.2012 წ.; საკადასტრო კოდი: 01.13.01.018.298, ამონაწერის მომზადების თარიღი: 09.08.2011წ, (რეგისტრაციის №882012451855).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს შპს ,,კაი ყმას" გენერალური დირექტორის თამარ ჩანტლაძის 2012 წლის 24 სექტემბრის AR182613 განცხადება;

2. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 აპრილის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების #521 პირობებში შეტანილი იქნეს ცვლილება, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთად დაფიქსირდეს 1990 კვ.მ. ფართობისა და 01.13.01.018.298 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 აპრილის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების #521 პირობებთან და 2012 წლის 24 სექტემბრის AR182613 განცხადებით ატვირთულ დოკუმენტაციასთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.